განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ბიზნესის ადმინისტრირება

საქართველოს უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი

28/05/2019

თბილისი
2019

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	„საქართველოს უნივერსიტეტი“, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205037137
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება
განათლების საფეხური	საბაკალავრო (უმაღლესი პირველი)
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი - 02
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**ვასილ კიკუტაძე,** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**მერაბ ხოხობაია,** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**დავით ქარცივაძე,** სადაზღვევო კომპანია იმედი L, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**დავით ბურჯანაძე,** ნიუვიჟენ უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის მიზანია თანამედროვე ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში უახლესი ცოდნის მიწოდება და მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი, პროფესიონალი სპეციალისტების მომზადება ბიზნესის ძირითად მიმართულებებში. ბიზნესის ადმინისტრირებაში ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად სტუდენტმა საჭიროა დააგროვოს 240 ECTS, რაც გულისხმობს: პროგრამის ძირითადი საგნების გავლას, რაც მოიცავს 156 ECTS, ხოლო დარჩენილი 84 ECTS შევსება სტუდენტს შეუძლია საბაკალავრო პროგრამის დანარჩენი საგნებიდან (როგორც პროგრამის ასარჩევი, ასევე სხვადასხვა კონცენტრაციის საგნებიდან), კერძოდ პროგრამას გააჩნია შემდეგი კონცენტრაციები: მენეჯმენტის, ფინანსების, მარკეტინგის და საბუღალტრო აღრიცხვის მიმართულებით. განსაზღვრულია პროგრამაზე მიღების წინაპირობები, რომლის მიხედვითაც აბიტურიენტებს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე უწევთ მათ შორის მათემატიკის ჩაბარება, რომლის ქვოტაც მაგალითად, 2019 წელს პროგრამაზე გამოცხადებული 125 მისაღები ადგილიდან 55 ადგილს შეადგენს. 2018 წელს პროგრამეზე ჩაირიცხა 144 სტუდენტი, თუმცა ზოგადად დაბალი (18%) პროგრამის დასრულების მაჩვენებლები. პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი 75%-ია. პროგრამის განხორციელებას ემსახურება 36 აკადემიური და 39 მოწვეული პერსონალი. 33 აკადემიური აფილირებულია უნივერსიტეტთან, მათ შორისაა 10 პროფესორი და 26 ასოცირებული პროფესორი. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია ასევე 3 უცხოელი ლექტორი. ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაცია მოხდა 2014 წლის 1 ივლისს, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს N14 გადაწყვეტილებით.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

საქართველოს უნივერსიტეტში აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2019 წლის 28 მაისს. ვიზიტი წარიმართა მშვიდ აკადემიურ გარემოში, შედგა შეთანხმებული დღის წესრიგის მიხედვით დაგეგმილი ყველა შეხვედრა, კერძოდ, ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, ფაკულტეტის ადმინისტრაციას, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, პროგრამის სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს და პოტენციურ დამსაქმებლებს. ადგილზე მოხდა უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ვიზუალური დათვალიერება, გადამოწმდა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის არსებობა და ელექტრონულ ბაზებთან ხელმისაწვდომობა. ვიზიტის დასასრულს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა გააცნო პროგრამის შესახებ მოცემულ ეტაპზე ჩამოყალიბებული ძირითადი მიგნებები, რაც ადექვატურად იქნა აღქმული უნივერსიტეტისა და უშუალოდ, პროგრამის ადმინისტრაციის მიერ.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას ექსპერტთა ჯგუფის შეფასებითა და არსებული წესის გათვალისწინებით დადგინდა, რომ პირველი სტანდარტის 1.1 და 1.2 კომპონენტები შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, შესაბამისად პირველი სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. მეორე სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, რადგანაც აღნიშნული სტანდარტის 2.1, 2.3, 2.4 კომპონენტები მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო 2.2, 2.5 და 2.6 კომპონენტები შესაბამისობასია მოთხოვნებთან. მე-3 სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. მე-4 სტანდარტი შესაბამისობასია მოთხოვნებთან. მე-5 სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

- **რეკომენდაციები**

1. რეკომენდებულია სასწავლო კურსი ,,საგადასახადო ადმინისტრირება“ პროგრამის სტუდენტებისათვის შეთავაზებული იქნეს, არა როგორც არჩევითი, არამედ როგორც სავალდებულო სასწავლო კურსი;
2. რეკომენდებულია პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსების სილაბუსებში კურსზე დაშვების წინაპირობებად განისაზღვროს მხოლოდ პროგრამის სტრუქტურაში არსებული სასწავლო კურსები;
3. რეკომენდებულია საბაკალავრო პროექტის შესრულების წინაპირობად განისაზღვროს არა მხოლოდ საბაკალავრო საფეხურის დამამთავრებელი სემესტრი, არამედ დაკონკრეტდეს ის სავალდებულო კრედიტების მოცულობა, რომელთა ათვისებაც აუცილებელია პროექტის მიზნების და სწავლის შედეგების მისაღწევად;
4. რეკომენდებულია განხორციელდეს სამეწარმეო სამართლის და ბიზნეს სამართლის სასწავლო კურსების გაერთიანება ერთ სავალდებულო სტატუსის მქონე სასწავლო კურსად, ხოლო ბიზნესის ეთიკა და სამართლებრივი გარემოს სასწავლო კურსის სახელწოდება ჩამოყალიბდეს როგორც ბიზნესის ეთიკა მისი შინაარსისა და ლიტერატურის ბიზნესის ეთიკის საკითხებზე მეტი კონცენტრაციით;
5. რეკომენდებულია სასწავლო კურსების სილაბუსებში არსებული ჩანაწერები ,,ლექცია (ქვიზი)“ დაკორექტირდეს და დაკონკრეტდეს სწავლა-სწავლების ის მეთოდები რომლებსაც რეალურად იყენებს ლექტორი კურსის მიზნების მისაღწევად;
6. რეკომენდებულია საბაკალავრო პროექტის შეფასებისას ნაცვლად ერთჯერადი შეფასების წესისა გამოყენებული იქნეს შუალედური და დასკვნითი შეფასებები;
7. რეკომენდებულია პროგრამის იმ სასწავლო კურსებში, სადაც შეფასების კომპონენტებად გამოყენებულია 10 და მეტ ქულიანი კომპონენტები, შეფასების კრიტერიუმების გრადაცია მოხდეს არა 25%-იანი ბიჯით, არამედ უფრო ნაკლები ბიჯით, რაც ხელს შეუწყობს შეფასების სისტემის გამჭირვალეობისა და ობიექტურობის კიდევ უფრო გაზრდას;

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

1. სასურველია სასწავლო კურსების მათემატიკური მეთოდები I, II და III სახელწოდებები დაკორექტირდეს, როგორც მაგალითად: მათემატიკა კონომიკასა და ბიზნესისათვის (I, II და III) ან პრეკალკულუსი, კალკულუსი და წრფივი ალგებრა ან დაწესებულებამ მოიფიქროს სხვა უფრო ადექვატური სახელწოდება, ვინაიდან აღნიშნული კურსების თვითმიზანი არ არის მხოლოდ მათემატიკური მეთოდების სწავლება, არამედ მთავარი აქცენტები კეთდება მათემატიკური მეთოდების ინსტრუმენტალურ გამოყენებაზე სხვადასხვა სახის ბიზნეს და ეკონომიკური ამოცანების პრაქტიკული გადაწყვეტისას.
2. სასურველია პროგრამის სტრუქტურაში შემავალი ცალკეული სასწავლო კურსების სილაბუსებში (მაგალითად: ბრენდის მენეჯმენტი, ბიზნეს სამართალი, გადასახადების ადმინისტრირება, კონტენტ მარკეტინგი, მენეჯმენტის საფუძვლები, მათემატიკური მეთოდები, მეწარმეობა, პროექტების მენეჯმენტი, სტრატეგიული მენეჯმენტის საფუძვლები და ა.შ.) მითითებული იყოს ლექტორის საკონტაქტო ინფორმაციაც;
3. სასურველია ყველა სასწავლო კურსის სილაბუსებში მითითებული იყოს დამატებითი ლიტერატურაც, რაც კიდევ უფრო შეუწყობს ხელს სასწავლო კურსის მიზნების მიღწევას, ამასთან ზოგიერთი ლექტორი რეალურად უთითებს სტუდენტებს დამატებით ლიტერატურას თუმცა სილაბუსებში არ აქვს შეტანილი;
4. სასურველია უნივერსიტეტმა უზრუნველყოს წინასწარ შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით უზრუნველყოს საკონსულტაციო პროცესების ეფექტურად ფუნქციონირება;
5. სასურველია გაფართოვდეს ელექტრონული პორტალის ფუნქციები, კერძოდ მოხდეს სავალდებულო ლიტერატურის და სასწავლო მასალების ბაზის ჩართვა პორტალის კონტენტში.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაცია მოხდა 2014 წლის 1 ივლისს, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს N14 გადაწყვეტილებით. აკრედიტაციის შედეგად გაცემული რეკომენდაციები, კერძოდ გაძლიერებულია პრაქტიკის კომპონენტი და პროგრამაში დამატებულია მენეჯმენტის კონცენტრაცია.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საქართველოს უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამა ორიენტირებულია ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადებაზე. პროგრამის მიზანია სტუდენტებისათვის იმ უნარ-ჩვევების და ცოდნის გადაცემა რომელიც აუცილებელია საშუალო და დაბალი რგოლის მენეჯერებისათვის. შესაბამისად, პროგრამაში განსაზღვრულია ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით სპეციალობის ძირითადი და არჩევითი საგნები, რომელიც ითვალისწინებს მენეჯმენტის, ბიზნესის სტრატეგიების, ფინანსური აღრიცხვის და ანალიზის, მარკეტინგის, ბიზნესის ოპერაციების დაგეგმვის და მართვის, ბიზნესის გარემოს, მენეჯერული უნარების განმავითარებელ დისციპლინებს. საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული სწავლების ელემენტებს, რაც მნიშვნელოვანი წინაპირობაა ბიზნესის სფეროში მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების თვალსაზრისით. უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, რომელშიც მკაფიოდ არის განსაზღვრული უნივერსიტეტის როლი პიროვნების განათლების, ლიბერალურ-ჰუმანური ღირებულებების გაღვივების და პატიოსანი შრომით წარმატების მისაღწევად საჭირო ცოდნის და უნარების გადაცემის თვალსაზრისით. ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტები შეძლებენ სწავლის მომდევნო საფეხურზე (მაგისტრატურა) გაგრძელებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; ▪ საქართველოს უნივერსიტეტის მისია; ▪ ინტერვიუ საქართველოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან; ▪ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ▪ საქართველოს უნივერსიტეტის ვებ–გვერდი https://www.ug.edu.ge
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები დეტალურად აღწერს იმ ძირითად ცოდნას და უნარებს რასაც კურსდამთავრებული შეიძენს პროგრამის დასრულების შედეგად. პროგრამაში გათვალისწინებულია როგორც დარგობრივი, ასევე ზოგადი კომპეტენციების განმავითარებელი სასწავლო კურსები. პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული შეძლებს ბიზნესის მართვის საბაზისო უნარების პრაქტიკაში გამოყენებას, ეკონომიკურ გარემოში მიმდინარე პროცესების შეფასებას. პროგრამა ორიენტირებულია დაბალი და საშუალო რგოლი მენეჯერების მომზადებაზე. შესაბამისად, კურსდამთავრებულებს პროგრამის დასრულების შემდეგ შესაძლებლობა ექნებათ კომპეტენციიდან გამომდინარე მონაწილეობა მიიღონ ბიზნესის დაგეგმვის და ორგანიზების, მმართველობითი გადაწყვეტილების მიღების, მარკეტინგული სტრატეგიების შემუშავების, საბაზისო ფინანსური დოკუმენტების შედგენის და საინვესტიციო პროექტების შეფასების პროცესში. აღნიშნული კომპეტენციების განვითარებას განაპირობებს პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების როგორც შინაარსობრივი, ასევე სწავლების მეთოდოლოგიური ნაწილი. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მექანიზმი მოიცავს შესაბამის პროცედურებს, რომელიც აუცილებელია ხარისხის უზრუნველყოფის თვალსაზრისით. აღნიშნული მექანიზმის მთავარი დანიშნულებაა, პერიოდულად მოხდეს სტუდენტების პროგრამის ძირითადი სასწავლო კურსების ფარგლებში მიღწეული შედეგების შედარება პროგრამის შედეგებთან. ამ კუთხით გამოიყოფა ორი ძირითადი მიმართულება, ერთი მხრივ ხდება შრომის ბაზარზე არსებული ტენდენციების იდენტიფიკაცია და სწავლის შედეგების გადამოწმება, ასევე დარგის სპეციალისტებთან და პრაქტიკოსებთან კონსულტაცია. ხოლო მეორე მხრივ, პერმანენტულად

მოწმდება სავალდებული სასწავლო კურსების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგები. აღნიშნული შედეგების დამუშავების და გაანალიზების საფუძველზე ხდება სასწავლო კურსების დახვეწა და განვითარება. სწავლის შედეგების შეფასების გათვალისწინებით ხდება პროგრამასთან დაკავშირებული საჭირო ცვლილებები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ ბიზნესის პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ▪ პროგრამის შედეგების შეფასების მექანიზმი; ▪ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, პოტენციურ დამსაქმებლებთან;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას განსაზღვრული აქვს დაშვების წინაპირობები, კერძოდ პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების ან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №224/ნ (2011 წლის 29 დეკემბერი) ბრძანების შესაბამისად, ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლისა და დირექტორის ბრძანების საფუძველზე. ერთიან ეროვნულ გამოცდებზე სხვა საგნებთან ერთად ბარდება მათემატიკა, რომელის ქვოტაც მაგალითად, 2019 წელს პროგრამაზე გამოცხადებული 125 მისაღები ადგილიდან 55 შეადგენს. პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობა გამჭვირვალეა, მათ შესახებ სრული ინფორმაცია ხელმისაწვდომია აბიტურიენტისა და სხვა დაინტერესებული პირებისათვის უნივერსიტეტის ვებ-გვერდიდან www.ug.edu.ge.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა; ▪ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ▪ საბაკალავრო და სამაგისტრო სწავლების დებულება; ▪ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან; ▪ ვებ გვერდზე არსებული ინფორმაცია (www.programs.ug.edu.ge)
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტში შემუშავებულია და მოქმედებს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესი, კერძოდ დაწესებულებას გააჩნია საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების მექანიზმი და საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისა და განვითარების უწყვეტი სრულყოფის მექანიზმი. აღნიშნული პროგრამის შემუშავება განხორციელებულია სწორედ აღნიშნული მექანიზმების გამოყენებით, კერძოდ პროგრამის შემუშავებას წინ უსწრებდა პროგრამის ანალოგიების შესწავლა, შესწავლილია როგორც უცხოური ასევ ქართული ანალოგიები, პროგრამის შემუშავებაში ჩართულია აკადემიური და მოწვეული პერსონალი, პროგრამის სტუდენტები და კურსდამთავრებულები, პროგრამის პოტენციური დამსაქმებლები და უნივერსიტეტის ყველა ის ადმინისტრაციული სამსახური, რომლებიც ფლობენ პროგრამის დაგეგმვისა და განხორციელებისათვის საჭირო ინფორმაციებს, გამომდინარე აქედან პროგრამას დაემატა პროგრამას დაემატა ასარჩევი კურსები, განახლდა სასწავლო კურსების ლიტერატურა, ზოგიერთ სასწავლო კურსში გაიზარდა საკონტაქტო საათების რაოდენობა და ა.შ.

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს, რაც გულისხმობს: პროგრამის ძირითადი საგნების გავლას 156 ECTS კრედიტის მოცულობით, ხოლო დარჩენილი 84 ECTS შევსება სტუდენტს შეუძლია საბაკალავრო პროგრამის დანარჩენი საგნებიდან (როგორც პროგრამის ასარჩევი, ასევე სხვადასხვა კონცენტრაციის საგნებიდან). პროგრამა სტუდენტებს თავაზობს ფინანსების (108 კრედიტი), მარკეტინგის (126 კრედიტი), მენეჯმენტის (126 კრედიტი) და საბუღალტრო აღრიცხვის (114 კრედიტი) კონცეტრაციებს. აღნიშნული კონცენტრაციების არჩევა თავისუფალია და სტუდენტს შეუძლია პროგრამის ძირითადი საგნების (156 კრედიტი) ზემოთ 84 კრედიტი დააკომპლექტოს რომელიმე კონცენტრაციის არჩევის ან მათი კომბინაციის შემთხვევაშიც. სწავლების საწყის სემესტრებში, გათვალისწინებულია ძირითადი კურსების შესწავლა, რომელთა სწავლის შედეგებიც შეესაბამება პროგრამის მიზნებსა და შედეგებს და ემსახურება ზოგადი დარგობრივი კომპეტენციების გამომუშავებას. ძირითადი კურსების შინაარსობრივი და ლოგიკური თანმიმდევრობა უზრუნველყოფს კონკრეტულ მოდულებში ჩაღრმავების შესაძლებლობას, რაც კურსდამთავრებულს გამოუმუშავებს პროგრამები კვალიფიკაციის შესაბამის და დასაქმების ბაზარზე ორიენტირებულ კომპეტენციებს. მიუხედვადა, იმისა რომ მისანიჭებელი კვალიფიკაცია

შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან პროგრამის სტრუქტურასთან დაკავშირებით გაგვაჩნია კონკრეტული მოსაზრებები, კერძოდ:

- ვინაიდან პროგრამა კურსდამთავრებულს ანიჭებს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის ხარისხს, უმჯობესი იქნება სასწავლო კურსი ,,საგადასახადო ადმინისტრირება“ პროგრამის სტუდენტებისათვის შეთავაზებული იქნეს, არა როგორც არჩევითი არამედ როგორც სავალდებულო სასწავლო კურსი;
- საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში ლოგიკურად არის განსაზღვრული მათზე დაშვების წინაპირობები, თუმცა წინაპირობების განსაზღვრისას გამოყენებულია ე.წ. ალტერნატიული წინაპირობების პრაქტიკა, რაც გულისხმობს პროგრამის კონკრეტული სასწავლო კურსების ალტერნატიულ წინაპირობად უნივერსიტეტში მოქმედი სხვა პროგრამებიდან საჭირო საგნების მითითებას. ვინაიდან ხორციელდება კონკრეტული ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება, მიგვაჩნია, რომ აღნიშნულ პროგრამაში თუნდაც ალტერნატიული წინაპირობის სახით ნებისმიერი სასწავლო კურსის გამოყენება მოითხოვს ამავე კურსის სილაბუსის არსებობას მოცემულ პროგრამაში. შესაბამისად, რეკომენდებულია პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსების სილაბუსებში კურსზე დაშვების წინაპირობებად განისაზღვროს მხოლოდ პროგრამის სტრუქტურაში არსებული სასწავლო კურსები;
- პროგრამის სტრუქტურაში გათვალისწინებულია საბაკალავრო პროექტის შესრულება 30 კრედიტის მოცულობით. საბაკალავრო პროექტზე დაშვების წინაპირობა პროექტის შერულების ისტრუქციის შესაბამისად ჩამოყალიბებულია შემდეგი შინაარსით: პროექტი შეიძლება მომზადდეს მხოლოდ საბაკალავრო საფეხურის დამამთავრებელ სემესტრში. გამომდინარე აქედან, რეკომენდებულია საბაკალავრო პროექტის შესრულების წინაპირობად განისაზღვროს არა მხოლოდ საბაკალავრო საფეხურის დამამთავრებელი სემესტრი, არამედ დაკონკრეტდეს ის სავალდებულო კრედიტების მოცულობა, რომელთა ათვისებაც აუცილებელია პროექტის მიზნების და სწავლის შედეგების მისაღწევად;
- ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურაში სავალდებულო სასწავლო კურსის სახით წარმოდგენილია ,,ბიზნესის ეთიკურ-სამართლებრივი გარემო“ – 6 კრედიტი, ხოლო ფინანსების, მარკეტინგის, მენეჯმენტის და საბუღალტრო აღრიცხვის კონცენტრაციებში ,,სამეწარმეო სამართლის“ სასწავლო კურსი 6 კრედიტის ფარგლებში, ასევე მენეჯმენტის კონცენტრაციაში დამატებით არის წარმოდგენილი ,,ბიზნეს სამართლის“ სასწავლო კურსი 6 კრედიტის ფარგლებში, რაც თავის მხრივ გარკვეულ ბუნდოვანებას იწვევს, კერძოდ რატომ ჭირდებათ მხოლოდ მენეჯმენტის კონცენტრაციის სტუდენტებს ,,ბიზნეს სამართლის“ სასწავლო კურსი და იგივე კურსი არ ჭირდება სხვა კონცენტრაციის სტუდენტებს, მაშინ როდესაც პროგრამა კურსდამთავრებულებს ანიჭებს მხოლოდ ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის კვალიფიკაციას. გამომდინარე აქედან, რეკომენდებულია განხორციელდეს სამეწარმეო სამართლის და ბიზნეს სამართლის სასწავლო კურსების

გაერთიანება ერთ სავალდებულო სტატუსის მქონე სასწავლო კურსად, ხოლო ბიზნესის ეთიკა და სამართლებრივი გარემოს სასწავლო კურსის სახელწოდება ჩამოყალიბდეს როგორც ბიზნესის ეთიკა მისი შინაარსისა და პროფილური ლიტერატურის ბიზნესის ეთიკის საკითხებზე მეტი კონცენტრაციის გათვალისწინებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა; ▪ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ▪ ანალოგიური პროგრამების შედარებითი ანალიზი; ▪ პროგრამის სწავლის შედეგების და წინაპირობების მატრიცა; ▪ ხარისხის უწყვეტი სრულყოფის ინსტრუქცია; ▪ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი; ▪ ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელებთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან; ▪ ინტერვიუები პროგრამის სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და პოტენციურ დამსაქმებლებთან;
რეკომენდაციები: ➢ რეკომენდებულია სასწავლო კურსი ,,საგადასახადო ადმინისტრირება“ პროგრამის სტუდენტებისათვის შეთავაზებული იქნეს, არა როგორც არჩევითი არამედ როგორც სავალდებულო სასწავლო კურსი; ➢ რეკომენდებულია პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსების სილაბუსებში კურსზე დაშვების წინაპირობებად განისაზღვროს მხოლოდ პროგრამის სტრუქტურაში არსებული სასწავლო კურსები; ➢ რეკომენდებულია საბაკალავრო პროექტის შესრულების წინაპირობად განისაზღვროს არა მხოლოდ საბაკალავრო საფეხურის დამამთავრებელი სემესტრი, არამედ დაკონკრეტდეს ის სავალდებულო კრედიტების მოცულობა, რომელთა ათვისებაც აუცილებელია პროექტის მიზნების და სწავლის შედეგების მისაღწევად; ➢ რეკომენდებულია განხორციელდეს სამეწარმეო სამართლის და ბიზნეს სამართლის სასწავლო კურსების გაერთიანება ერთ სავალდებულო სტატუსის მქონე სასწავლო კურსად, ხოლო ბიზნესის ეთიკა და სამართლებრივი გარემოს სასწავლო კურსის სახელწოდება ჩამოყალიბდეს როგორც ბიზნესის ეთიკა მისი შინაარსისა და ლიტერატურის ბიზნესის ეთიკის საკითხებზე მეტი კონცენტრაციით;
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

√ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბიზნესის ადინისტრირების საბაკალავრო პროგრამის ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსები წარმოდგენილია 156 კრედიტის მოცულობით, თითოეული სასწავლო კურსი 6 კრედიტიანია და ცალკეული სასწავლო კურსების სპეციფიკა გათვალისწინებულია კურსის შინაარსში და საათების გადანაწილების დროს. პროგრამის შემადგენელი კომპონენტები განაწილებულია სემესტრულად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, რომელშიც შესავალი კომპონენტები შეთავაზებულია პროგრამის საწყის ეტაპზე, ხოლო რთული, კომპლექსური ხასიათის კომპონენტები - მომდევნო ეტაპებზე. სტუდენტის დატვირთვის განაწილება ასახულია სასწავლო კურსების სილაბუსების საათობრივ დატვირთვაში. სასწავლო კურსების სწავლის შედეგები მიღწევადია არსებული დატვირთვის ფარგლებში, რაც დასტურდება აკადემიური პერსონალის და სტუდენტების კვლევის შედეგებით. ცალკეული სასწავლო კურსების ფარგლებში გამოყენებულია თანამედროვე ინგლისურენოვანი ლიტერატურა, რაც კარგად ასახავს დარგში არსებულ სიახლეებს. მასალები ხელმისაწვდომია საქართველოს უნივერსიტეტის ყველა სტუდენტისა და პროფესორ-მასწავლებლისთვის და განთავსებულია ბიბლიოთეკაში. "ჩემი UG" საშუალებით სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს შეუძლიათ ელექტრონულად შეუკვეთონ საჭირო მასალა საბიბლიოთეკო ფონდიდან. ამასთან,

- პროგრამის სტრუქტურაში შემავალი ცალკეული სასწავლო კურსების სილაბუსებში (მაგალითად: ბრენდის მენეჯმენტი, ბიზნეს სამართალი, გადასახადების ადმინისტრირება, კონტენტ მარკეტინგი, მენეჯმენტის საფუძვლები, მათემატიკური მეთოდები, მეწარმეობა, პროექტების მენეჯმენტი, სტრატეგიული მენეჯმენტის საფუძვლები და ა.შ.) არ არის მითითებული ლექტორის საკონტაქტო ინფორმაცია, რაც სასურველია რომ გამოსწორდეს;
- სასურველია ყველა სასწავლო კურსის სილაბუსებში მითითებული იყოს დამატებითი ლიტერატურაც, რაც კიდევ უფრო შეუწყობს ხელს სასწავლო კურსის მიზნების მიღწევას, ამასთან ზოგიერთი ლექტორი რეალურად უთითებს სტუდენტებს დამატებით ლიტერატურას თუმცა სილაბუსებში არ აქვს შეტანილი;
- მიზანშეწონილია სასწავლო კურსების მათემატიკური მეთოდები I, II და III სახელწოდებები დაკორექტირდეს, როგორც მაგალითად: მათემატიკა კონომიკასა და ბიზნესისათვის (I, II და II) ან პრეკალკულუსი, კალკულუსი და წრფივი ალგებრა ან დაწესებულებამ მოიფიქროს სხვა უფრო ადექვატური სახელწოდება, ვინაიდან აღნიშნული კურსების თვითმიზანი არ არის

მხოლოდ მათემატიკური მეთოდების სწავლება, არამედ მთავარი აქცენტები კეთდება მათემატიკური მეთოდების ინსტრუმენტალურ გამოყენებაზე სხვადასხვა სახის ბიზნეს და ეკონომიკური ამოცანების პრაქტიკული გადაწყვეტისას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა; ▪ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ▪ პროგრამის მეთოდების მატრიცა; ▪ დაინტერესებული მხარეების კვლევიდან აკადემიური პერსონალის კვლევის ანგარიში; ▪ დაინტერესებული მხარეების კვლევიდან სტუდენტების კვლევის ანგარიში; ▪ სტუდენტების შედეგების შეფასების ანგარიში; ▪ ბიბლიოთეკის დებულება; ▪ ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელებთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან; ▪ ინტერვიუები პროგრამის სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და პოტენციურ დამსაქმებლებთან;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ➢ სასურველია სასწავლო კურსების მათემატიკური მეთოდები I, II და III სახელწოდებები დაკორექტირდეს, როგორც მაგალითად: მათემატიკა კონომიკასა და ბიზნესისათვის (I, II და III) ან პრეკალკულუსი, კალკულუსი და წრფივი ალგებრა ან დაწესებულებამ მოიფიქროს სხვა უფრო ადექვატური სახელწოდება, ვინაიდან აღნიშნული კურსების თვითმიზანი არ არის მხოლოდ მათემატიკური მეთოდების სწავლება, არამედ მთავარი აქცენტები კეთდება მათემატიკური მეთოდების ინსტრუმენტალურ გამოყენებაზე სხვადასხვა სახის ბიზნეს და ეკონომიკური ამოცანების პრაქტიკული გადაწყვეტისას. ➢ სასურველია პროგრამის სტრუქტურაში შემავალი ცალკეული სასწავლო კურსების სილაბუსებში (მაგალითად: ბრენდის მენეჯმენტი, ბიზნეს სამართალი, გადასახადების ადმინისტრირება, კონტენტ მარკეტინგი, მენეჯმენტის საფუძვლები, მათემატიკური მეთოდები, მეწარმეობა, პროექტების მენეჯმენტი, სტრატეგიული მენეჯმენტის საფუძვლები და ა.შ.) მითითებული იყოს ლექტორის საკონტაქტო ინფორმაციაც; ➢ სასურველია ყველა სასწავლო კურსის სილაბუსებში მითითებული იყოს დამატებითი ლიტერატურაც, რაც კიდევ უფრო შეუწყობს ხელს სასწავლო კურსის მიზნების მიღწევას, ამასთან ზოგიერთი ლექტორი რეალურად უთითებს სტუდენტებს დამატებით ლიტერატურას თუმცა სილაბუსებში არ აქვს შეტანილი;
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამაში არის წარმოდგენილი პრაქტიკული უნარების განმავითარებელი კომპონენტები: საბაკალავრო პროექტის, რომლის ფარგლებშიც სტუდენტებს უვითარდებათ ჯგუფური მუშაობის; ინფორმაციის ძიების, გაანალიზებისა და დამუშავების; კვლევის პრაქტიკულად განხორციელების; შედეგების ანალიზისა და დასკვნების ჩამოყალიბების უნარი. გარდა ამისა, სტუდენტებს სხვადასხვა სასწავლო კურსების ფარგლებში უწევთ პრეზენტაციების მომზადება, ქეისების განხილვა და სხვადასხვა პრაქტიკული უნარაბების განმავითარებელი აქტივობების განხორციელება. გარდა ამისა, უნივერსიტეტი ხელს უწყობს ბიზნეს ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებს ბიზნესის პრაქტიკული მიმართულების უნარების განვითარებაში. უნივერსიტეტი აფინანსებს სტუდენტების წარმატებულ პროექტებს და მათთან ერთად ახორციელებს ბიზნეს საქმიანობას, ტარდება სამეცნიერო-პრაქტიკული სტუდენტური კონფერენციები, რეგულარული სემინარები, რომლებსაც უძღვებიან ბიზნესის სფეროს ექსპერტები, სხვადასხვა ბიზნეს-დაწესებულებათა ხელმძღვანელები, აკადემიური სფეროს წარმომადგენლები. ბიზნესის და ადმინისტრაციულ მეცნიერებათა სკოლა სადაც ხრციელდება აღნიშნული საბაკალავრო პროგრამა, ჩართულია “European Innovation Academy”-ს საზაფხულო პროგრამაში. პროგრამა შემუშავებულია ისეთ წამყვან უნივერსიტეტებთან და კომპანიებთან თანამშრომლობით, როგორიცაა: UC Berkeley, Stanford University, Google, Amadeus, CA. ყოველ წელს მომავალი მეწარმეები, ბიზნეს ლიდერები იკრიბებიან მულტიკულტურულ ეკოსისტემაში დაახლოებით 75 ქვეყნიდან და 3 კვირის განმავლობაში ისმენენ ლექციებს, ჯგუფურად მუშაობენ ბიზნეს იდეებზე. საქართველოს უნივერსიტეტი 2016 წლიდან ჩართულია აღნიშნულ პროგრამაში. უნივერსიტეტის კურიკულუმის გარეთ აქტივობების ფარგლებში ჩატარდა ტრენინგები „Great Startupers”, ბიზნესლოტო, სხვადასხვა თემატიკის ტრენინგები (პროექტის წერა, დროის მენეჯმენტი, მეწარმეობა, და ა.შ.); პრაქტიკული და კვლევითი უნარების, ასევე მეწარმული უნარების გაუმჯობესების მიზნით საქართველოს უნივერსიტეტში მოქმედებს ასევე ბიზნეს ლაბორატორია „Startup Factory”.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა; ▪ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ▪ ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელებთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან; ▪ ინტერვიუები პროგრამის სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და პოტენციურ დამსაქმებლებთან; ▪ მემორანდუმები; ▪ სემინარების ანგარიში; ▪ სტუდენტური კლუბების და სერვისების ცენტრის დებულება; ▪ დასაქმების ხელშემწყობი ცენტრის ანგარიში; ▪ ინფორმაცია პროექტებთან დაკავშირებით; ▪ ინფორმაცია სტუდენტურ კონფერენციებთან დაკავშირებით; ▪ ადმინისტრაციულ მეცნიერებათა კვლევითი ცენტრის დებულება და ანგარიში; ▪ უნივერსიტეტის ვებ გვერდი: https://www.ug.edu.ge/

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუებით გამოიკვეთა, რომ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების, და ინდივიდუალური კურსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით პროგრამის ფარგლებში გამოიყენება სწავლა-სწავლების სხვადასხვა მეთოდოლოგია, კერძოდ ლექცია-სემინარები ახსნა-განმარტებითი მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი, პროექტებზე დაფუძნებული სწავლება, დისკუსია/დებატები გუნდური მუშაობა და ა.შ. თუმცა აღნიშნული მეთოდების გამოყენება რთული დასადგენია სასწავლო კურსების სილაბუსებით, ვინაიდან სასწავლო კურსების სილაბუსებში მოცემულ ყოველკვირეულ სასწავლო გეგმაში ფიგურირებს მხოლოდ ლექცია და ლექცია (ქვიზი) ჩანაწერები. თუმცა რეალურად, როგორც ინტერვიუებიდან გაირკვა ქვიზის ქვეშ გამოიყენება ზემოთ აღნიშნული სხვადასხვა მეთოდები, გამომდინარე აქედან მიგვაჩნია, რომ ➢ რეკომენდებულია სასწავლო კურსების სილაბუსებში არსებული ჩანაწერები ,,ლექცია (ქვიზი)“ დაკორექტირდეს და დაკონკრეტდეს სწავლა-სწავლების ის მეთოდები რომლებსაც რეალურად იყენებს ლექტორი კურსის მიზნების მისაღწევად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა; ▪ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ▪ სწავლების მეთოდების სახელმძღვანელო; ▪ დაინტერესებული მხარეების კვლევიდან სტუდენტების კვლევის ანგარიში; ▪ დაინტერესებული მხარეების კვლევიდან აკადემიური პერსონალის კვლევის ანგარიში;

- ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელებთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან;
- ინტერვიუები პროგრამის სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და პოტენციურ დამსაქმებლებთან;

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია სასწავლო კურსების სილაბუსებში არსებული ჩანაწერები ,,ლექცია (ქვიზი)" დაკორექტირდეს და დაკონკრეტდეს სწავლა-სწავლების ის მეთოდები რომლებსაც რეალურად იყენებს ლექტორი კურსის მიზნების მისაღწევად.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

√ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში გამოყენებული შეფასების სისტემა მეტწილად შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს, კერძოდ სემესტრის განმავლობაში გათვალისწინებულია რამდენიმე ეტაპიანი შეფასება. შუალედური შეფასებები და დასკვნითი გამოცდა ასევე, კვლევისა და კომუნიკაციის უნარის განმავითარებელი რეფერატი/პროექტი და მისი პრეზენტაცია / ალტერნატიული დავალება (მაგალითად: ქეისი, კომპანიის ანალიზი, პროექტი, ბიზნეს გეგმა). თითოეულ ეტაპზე შეფასებისას გამოიყენება სხვადასხვა მეთოდი ან მათი ერთობლიობა, რომელიც ზომავს სწავლის შედეგების მიღწევადობას.

- ამასთან, პროგრამის ფარგლებში საბაკალავრო პროექტის შეფასება ხდება ერთჯერადი შეფასების წესით რაც წინააღგმდეგობაშია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებასთან, კერძოდ ამავე ბრძანების 1 მუხლის თანახმად სასწავლო კომპონენტს მიეკუთვნება მათ შორის: საბაკალავრო კვლევითი პროექტიც, რომელიც თავის მხრივ 4-ე მუხლის შესაბამისად უნდა შეფასდეს შუალედური და დასკვნითი შეფასების წესით. შესაბამისად, რეკომენდებულია საბაკალავრო პროექტის შეფასებისას გამოყენებული იქნეს შუალედური და დასკვნითი შეფასებები;

- ➢ რეკომენდებულია პროგრამის იმ სასწავლო კურსებში, სადაც შეფასების კომპონენტებად გამოყენებულია 10 და მეტ ქულიანი კომპონენტები, შეფასების კრიტერიუმების გრადაცია მოხდეს არა 25%-იანი ბიჯით, არამედ უფრო ნაკლები ბიჯით, რაც ხელს შეუწყობს შეფასების სისტემის გამჭირვალეობისა და ობიექტურობის კიდევ უფრო გაზრდას;

აღსანიშნავია, რომ პროგრამის ფარგლებში სტუდენტის მიერ მიღწეული შედეგების შეფასება ხორციელდება ორი მიმართულებით: ერთის მხრივ, შეფასება გამოიყენება როგორც სტუდენტის შედეგების მიღწევის საზომი. და მეორეს მხრივ, შეფასება გამოიყენება, როგორც სტუდენტისთვის მიღწეული შედეგების / ნაკლოვანებების შემდგომი გაუმჯობესების საშუალება, რაც სტუდენტებთან შედეგების ინდივიდუალურად განხილვის გზით ხორციელდება.

სტუდენტების შეფასებები შესაბამისმი კომენტარებით აისახება „ჩემი UG“ ონლაინ სისტემაში, ხოლო დასკვნითი შეფასებები ტარდება საგამოცდო ცენტრის მიერ, უნივერსიტეტში არსებობს ასევე შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმები, რომლესაც სტუდენტები იყენებენ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- დაინტერესებული მხარეების კვლევიდან აკადემიური პერსონალის კვლევის ანგარიში;
- დაინტერესებული მხარეების კვლევიდან სტუდენტების კვლევის ანგარიში;
- საბაკალავრო და სამაგისტრო სწავლების დებულება;
- ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელებთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან;
- ინტერვიუები პროგრამის სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და პოტენციურ დამსაქმებლებთან;
- მართვის ელექტრონული სისტემა. http://my.ug.edu.ge/login.php ; http://online.ug.edu.ge/login.php

რეკომენდაციები:

- ➢ რეკომენდებულია საბაკალავრო პროექტის შეფასებისას ნაცვლად ერთჯერადი შეფასების წესისა გამოყენებული იქნეს შუალედური და დასკვნითი შეფასებები;
- ➢ რეკომენდებულია პროგრამის იმ სასწავლო კურსებში, სადაც შეფასების კომპონენტებად გამოყენებულია 10 და მეტ ქულიანი კომპონენტები, შეფასების კრიტერიუმების გრადაცია მოხდეს არა 25%-იანი ბიჯით, არამედ უფრო ნაკლები ბიჯით, რაც ხელს შეუწყობს შეფასების სისტემის გამჭირვალეობისა და ობიექტურობის კიდევ უფრო გაზრდას;

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

√ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტის სტუდენტური სისტემა „ჩემი UG" და კორპორაციული ელ-ფოსტა უზრუნველყოფს, სტუდენტებს მიეწოდოს ინფორმაცია სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით სხვადასხვა საკითხებზე. უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციის საფუძველზე, ასევე სტუდენტებთან და კურსთამთავრებულებთან გასაუბრების შედეგად დასტურდება, რომ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტები ინფორმირებულნი არიან/იყვნენ გაცვლითი პროგრამებისა და სხვადასხვა აქტივობების შესახებ. სტუდენტთა ნაწილი აქტიურადაა ჩართული აღნიშნულ პროცესებში და სარგებლობენ/ისარგებლეს უნივერსიტეტის შეთავაზებებით. უნივერსიტეტის დებულების (აკადემიური საბჭოს 2012 წლის 27 მარტის, ოქმის №08-12) მიხედვით სასწავლო და სამეცნიერო პერსონალის დატვირთვის სქემა ითვალისწინებს სტუდენტთა კონსულტაციებისათვის გამოყოფილი საათებს, რომელიც ყოველკვირეულად მოიცავს მინიმუმ ორ საათს. თუმცა ლექტორებთან და სტუდენტებთან გასაუბრების შედეგად არ დადასტურდა აღნიშნული საკონსულტაციო საათების პრაქტიკაში გამოყენება წინასწარ განსაზღვრული დროების მიხედვით. გამომდინარე აქედან მიგვაჩნია, რომ სასურველია უნივერსიტეტმა უზრუნველყოს წინასწარ შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით უზრუნველყოს საკონსულტაციო პროცესების ეფექტურად ფუნქციონირება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სტუდენტური სისტემა „ჩემი UG“;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- სასწავლო და სამეცნიერო პერსონალის დებულება;
- ინფორმაცია სტუდენტურ კონფერენციებსა და პროექტებთან დაკავშირებით;
- ინტერვიუ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- ინტერვიუ ადმინისტრაციის პერსონალთან;
- ინტერვიუ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია უნივერსიტეტმა უზრუნველყოს წინასწარ შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით უზრუნველყოს საკონსულტაციო პროცესების ეფექტურად ფუნქციონირება.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

√ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) o
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საქართველოს უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამას ახორციელებს 36 აკადემიური პერსონალი, მათ შორის 10 პროფესორი და 26 ასოცირებული პროფესორი. სასწავლო პროცესში ჩართულია 4 მეცნიერი, 4 უცხოელი პერსონალი და 39 მოწვეული პერსონალი. აკადემიური პერსონალის აქტიური სამეცნიერო საქმიანობა დასტურდება მათი პირადი საქმეების შესწავლის შედეგად. მოწვეულ პერსონალს გააჩნია კერძო ბიზნესსა თუ საჯარო სექტორში საქმიანობის მრავალწლიანი გამოცდილება, ასევე დასტურდება მათი აკადემიური საქმიანობა სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის და სასწავლო საგნების სემესტრული ცხრილის ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ პერსონალის დატვირთვა ადეკვატურ შესაბამისობაშია სასწავლო პროცესთან. აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის თანაფარდობა მოწვეულ პერსონალთან არის 92.3%, აკადემიური პერსონალის დენადობის მაჩვენებელი 18%, ხოლო მოწვეული პერსონალის კი 28.5%-ია. პროგრამას ყავს 3 თანახელძღვანელი, რომლებიც მიმართულების დონეზე ინაწილებენ პასუხისმგებლობას. ერთი მათგანი პასუხისმგებელია პროგრამის აკადემიური მიმართულებით სრულყოფასა და განვითარებაზე, მეორე პროგრამის ფინანსურ მდგრადობას აქცევს ყურადღებას, მესამე კი პროგრამის შეუფერხებელ განხორციელებაზეა პასუხისმგებელი. სამივე მათგანის კომპეტენტურობა დასტურდება მათი პირადი საქმეების შესწავლის შედეგად, მათ გააჩნიათ საგანმანათლებლო სექტორში მუშაობის მრავალწლიანი მდიდარი გამოცდილება. პროგრამის განხორცილებაში აქტიურადაა ჩართული 250 ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი უნივერსიტეტის მასშტაბით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები;
- ინტერვიუ სტუდენტებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

√ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უსდ პერიოდულად აწარმოებს პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის სასწავლო და აკადემიური საქმიანობის მონიტორინგს. სტუდენტების ელექტრონული გამოკითხვის საფუძველზე ხდება ლექტორების საქმიანობის უკუკავშირის მიღება და შესაბამისი რეაგირება.

პერსონალი ინფორმირებულია მათი სამეცნიერო საქმიანობის მხარდაჭერისა და წახალისების შესახებ. უნივერსიტეტი ახორციელებს სხვადასხვა სამეცნიერო ჟურნალებში სტატიების დაბეჭდვის, კონფერენციებში მონაწილების და სხვა სამეცნიერო აქტივობების როგორც თანადაფინანსებას ასევე სრულ ფინანსურ მხარდაჭერას.

საქართველოს უნივერსიტეტი ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესეულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას. ამ მიზნით უნივერსიტეტში შექმნილია სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელიც მოიცავს აკადემიური პერსონალის განვითარებისა და სამეცნიერო პროექტების მართვის

სამსახურს და სამეცნიერო ჟურნალის „კავკასიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა ჟურნალის“ (“Caucasus Journal of Social Sciences”) რედაქციას. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი კოორდინაციას უწევს საქართველოს უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას. ბიზნესის და ადმინისტრაციულ მეცნიერებათა სკოლა არის CEEMAN-ის ინსიტუციონალური წევრი საერთაშოისო აკრედიტაციის მიმართულებით. ამ მიმართულებით პროგრამაში ჩართული ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალი პერიოდულად ესწრება საერთაშორისო სემინარებსა და კონფერენციებს. მათ შორის: Program Management Seminar, რომელიც პროგრამის შემუშავებაში და მის განხორციელებაში ჩართული ადმინისტრაციული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებისკენ არის მიმართული. ასევე CEEMAN-ის 25-ე და 26-ე ყოველწლიური კონფერენცია: „მეწარმოების გააზრება: მზარდ ეკონომიკებში მენეჯმენტის სწავლების გამოწვევები“ და 26-ე ყოველწლიური კონფერენცია: “Redefining Management Education: Excellence and Relevance”. ასევე ხარისხის უზრუნველყოფის პროფესიონალთა ვორკშოფი, რომელიც AACSB (Association to Advance Collegiate Schools of Business) საერთაშორისო ასოციაციასიის ორგანიზებით ჩატარდა. საქართველოს უნივერსიტეტის ბიზნესის და ადმინისტრაციულ მეცნიერებათა სკოლა ჩართულია პროექტში: თანამედროვე კომპეტენციები აკადემიურ სწავლებაში (MOCAT), ევროპის ინოვაციების აკადემიის საზაფხულო სასწავლო პროგრამაში და სხვა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ▪ აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები და თანდართული დოკუმენტები; ▪ ინტერვიუ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლების პროცესისთვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით, აუდიტორიებით, კომპიუტერული კლასებით, საგამოცდო ცენტრით, ბიბლიოთეკით. ბიბლიოთეკა თანამშრომლობს საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებთან. ბიბლიოთეკაში დაცულია სილაბუსებში მითითებული როგორც აუცილებელი ასევე დამხმარე ლიტერატურის წიგნადი ფონდი. ბიბლიოთეკა მოისაკლისებს განახლებულ პერიოდულ ბიზნეს გამოცემებსა და ჟუნალებს. დათვალიერებისას 2017 წლის ქართულ ენაზე გამოცემული ჟურნალი ფორბსი იქნა წარმოდგენილი. სტუდენტები სარგებლობენ სპეციალურად მათზე მორგებული შიდა საუნივერსიტეტო საინფორმაციო პორტალით, სადაინაც ხდება საგნების არჩევა, საგნის სილაბუსების დათვალიერება და სხვა სასწავლო პროცესის მხარდამჭერი აქტივობები. ამასთან, სასურველია გაფართოვდეს ელექტრონული პორტალის ფუნქციები, კერძოდ მოხდეს სავალდებულო ლიტერატურის და სასწავლო მასალების ბაზის ჩართვა პორტალის კონტენტში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ▪ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები; ▪ უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ➢ სასურველია გაფართოვდეს ელექტრონული პორტალის ფუნქციები, კერძოდ მოხდეს სავალდებულო ლიტერატურის და სასწავლო მასალების ბაზის ჩართვა პორტალის კონტენტში.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის ბიუჯეტში დეტალურადაა გაწერილი პროგრამის შემოსავლები და ხარჯები უახლოესი 4 წლის განმავლობაში. ბიუჯეტის შესწავლის შედეგად დასტურდება რომ პროგრამის შემოსავლები მიღწევადია და ხარჯები შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ საგანმანათლებლო პროგრამის 2019 წლის ბიუჯეტი; ▪ ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს ხარისხის უწყვეტი სრულყოფის ინსტრუქცია, რომელიც საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვასა და განვითარებაში სტუდენტების და დაინტერესებული პირების ჩართულობას ითვალისწინებს. პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სამსახურთან, რაც დასტურდება ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუების საშუალებით.

საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფისათვის გამოიყენება პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდები. პირდაპირი შეფასება ითვალისწინებს სტუდენტების პროგრამით გათვალისწინებული კურსების ფარგლებში სწავლის შედეგების გადამოწმებას, რაც საშუალებას იძლევა სასწავლო კურსებში საჭიროების შემთხვევაში განხორციელდეს შესაბამისი ცვლილებები. სწავლის შედეგების გაზომვა და ანალიზი ხდება სემესტრის განმავლობაში. სწავლის შედეგების გასაზომად გამოიყენება შუალედური და დასკვნითი გამოცდის შეფასებები. არაპირდაპირი შეფასებით ხდება სტუდენტების და დაინტერესებული პირების დამოკიდებულების ანალიზი, როგორც სასწავლო პროცესთან, ასევე პროგრამის სწავლის შედეგებთან მიმართებით. პროგრამის შესაფასებლად უმაღლეს სასწავლო დაწესებულებას შემუშავებული აქვს შეფასების ფორმები: დამსაქმებლების კითხვარი, კურსდამთავრებულების კითხვარი, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის კითხვარი. ასევე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს სტუდენტების კონფერენციებში მონაწილეობის და აქტივობების, საერთაშორისო პროექტების შედეგების ანალიზს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინტერვიუ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან;
- ხარისხის უწყვეტი სრულყოფის ინსტრუქცია;
- ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელებთან და თვითშეფასების ჯგუფთან;
- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტები;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საქართველოს უნივერსიტეტი ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამის გარე შეფასების მექანიზმად იყენებს უნივერსიტეტის ავტორიზაციის და საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პროცედურებს. საგანმანათლებლო პროგრამის გარე შეფასების დროს ხორციელდება თვითშეფასებით, საავტორიზაციო და სააკრედიტაციო ვიზიტის შედეგად მიღებული მონაცემების გაანალიზება. გარდა ამისა, უმაღლესი სასწავლო დაწესებულება ახორციელებს კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლების შეფასებას, დამსაქმებლების კვლევას, რომლის ფარგლებში ხდება კურსდამთავრებულთა ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიკაცია. რაც მნიშვნელოვანია პროგრამის განვითარებისათვის საჭირო ცვლილებების განხორციელებისათვის. უნივერსიტეტი 3 წელიწადში ერთხელ ახორციელებს პროგრამის შედარებით ანალიზს ანალოგიურ პროგრამებთან მიმართებით, რომლის საფუძველზე ხორცილედება პროგრამის გაუმჯობესებისათვის საჭირო ღონისძიებების დაგეგმვა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ ინტერვიუ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან; ▪ ინტერვიუ პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან; ▪ ხარისხის უწყვეტი სრულყოფის ინსტრუქცია; ▪ უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების ანგარიშები;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საქართველოს უნივერსიტეტში პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ეფუძნება ინფორმაციის სისტემატურ შეკრებას, დამუშავებას და მიღებული შედეგების საფუძველზე შესაბამისი ცვლილებების განხორციელებას. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ხორციელდება სტუდენტების, აკადემიური პერსონალის, კურსდამთავრებულების გამოკითხვა და შედეგების ანალიზის საფუძველზე ხდება შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა, რომელიც ორიენტირებულია პროგრამის გაუმჯობესებაზე და შემდგომ განვითარებაზე. პროგრამის მონიტორინგის და შეფასების პროცესში გათვალისწინებულია დაინტერესებული პირების მონაწილეობა და უნივერსიტეტის პერსონალის ჩართულობა. დაინტერესებული პირების მონაწილეობა დადასტურდა სააკრედიტაციო ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუს პროცესში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების ანგარიშები; ▪ ხარისხის უწყვეტი სრულყოფის ინსტრუქცია; ▪ ინტერვიუ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან; ▪ ინტერვიუ პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება √ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

„საქართველოს უნივერსიტეტი“, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:

ბიზნესის ადმინისტრირება

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 31 გვერდი

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ვასილ კიკუტაძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

მერაბ ხოხობაია

დავით ქარცივაძე

დავით ბურჯანაძე